საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/229

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი, 2022 წელი

,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს 2022 წლის 16 სექტემბრის №01-02/222 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე და 47 [2] მუხლების, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენისა და წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადასტურების ვადების განსაზღვრის შესახებ'' სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის დიმიტრი ბერიძის 2022 წლის 23 სექტემბრის N1.1/95 ბრძანების, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზის და პროექტების მართვის ჯგუფის მთავარი სპეციალისტის 2022 წლის 23 სექტემბრის MES 1 22 0001151059 კორესპონდენციის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ლელა თურმანიძის 2022 წლის 23 სექტემბრის MES 1 22 0001152102 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს 2022 წლის 16 სექტემბრის №01-02/222 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) **პირველ პუნქტში აღნიშნული N1 დანართი შეიცვალოს** (თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით ადგილების და სახელმწიფო დაფინანსების მიმღებთა რაოდენობების ნაწილში) **და ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართის შესაბამისად (N1 დანართი).**

ბ) მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაცია განხორციელდეს 2022 წლის 22 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით, ბსუ-ს პირველ კორპუსში, მცირე სპორტულ დარბაზში, 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე (მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა N32/35).

გ) მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2022 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ).“

დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. მისაღები გამოცდებთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:

4.1. **გამოცდები ჩატარდეს 2022 წლის 30 სექტემბერს,** წერითი ფორმით, ცვლების მიხედვით, ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12), გამოცდის დაწყების დრო ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეცნობოს აპლიკანტებს 29 სექტემბერს.

4.2. გამოცდის **შედეგები გამოცხადდეს 2022 წლის 02 ოქტომბერს** (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე);

4.2. საპრეტენზიო განცხადებები (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნეს 2022 წლის 03 ოქტომბერს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია);

4.3. საპრეტენზიო განცხადებების განხილვა მოხდეს 2022 წლის 04 ოქტომბერს;

4.4. გამოცდის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 04 ოქტომბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე.“

ე) მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან **ხელშეკრულებები გაფორმდეს 2022 წლის 05 ოქტომბერს** (ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება უზრუნველყოს სააპლიკაციო განაცხადების

მიმღებმა კომისიამ 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე ბსუ-ს პირველ კორპუსში, მცირე სპორტულ დარბაზში (ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა N32/35)).

11. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2022 წლის 06 ოქტომბერს,** შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.";

3) მე-12 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების **2022 წლის 7 ოქტომბერს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნის კოორდინაცია;".

2. დაევალოს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს უზრუნველყოს პროგრამაზე მიღების შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებული განცხადების ტექსტის მოდიფიცირება, წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით.
3. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) ბრძანება განათავსოს სამსახურთან და შესაბამის ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები", რექტორის ბრძანებებში და ასევე ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ველში).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს 2022 წლის 16 სექტემბრის №01-02/222 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის _____ 27 _____ სექტემბრის

№ 01-02/229 ბრძანების

დანართი 1.

№	ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება, საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ პირთა რაოდენობა
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	17	2250	12
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	6	2250	5
3	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	24	2250	15
4	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5
5	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5
6	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	2
7	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	2
8	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	4
9	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250	4
10	სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	16	2250	13
11	სპორტი	13	2250	10
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	5	2250	2
13	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	4
14	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	2
		120		85